

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

16 ივნისი 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ძაგნიძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში ლუბა გოგოძე.

სხდომა 13⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2020 წლის სხდომის დღის წესრიგი.

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლილუაშვილის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნაწილობრივ გამოყენების შესახებ.

მომხს.: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2020 წლის 16 ივნისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა გიორგი ივანიაძე, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ალექსანდრე ლილუაშვილის განცხადება.(დანართი N1) საკრებულოს თავმჯდომარე, ბიუროს წევრებს თხოვს ანაზღაურებად შვებულებას 15 სამუშაო დღით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა და თანხმობა მისცეს ალექსანდრე ლილუაშვილს შვებულების ნაწილობრივი გამოყენების თაობაზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე